სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №87

ქ.ქუთაისი, „11“ „ივნისი“ 2014წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში – „შემსყიდველი“) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, ასრულებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-ს დირექტორი თინათინ ლოსაბერის სახით**(შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ ***შპს „LAB დისტრიბუცია“ დირ: სახელი და გვარი*** **სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის “ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3.ხელშეკრულების საგანი

3.1. **ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-ს მიერ (cpv)-48820000-სერვერის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.**

3.2 მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი მოცემულია ფასების ცხრილში რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4000(ოთხიათასი)ლარს.**

4.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1“მიმწოდებელმა“ **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“- მიერ (cpv)-48820000-სერვერის**მიწოდება **უნდა განახორციელოს 2014 წლის 18 ივნისის ჩათვლით**

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 “მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;.
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთ ეტაპად მოწოდებული საქონლის სასაქონლო ზედნადების საფუძველზე არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდგომ “შემსყიდველსა“ და “მიმწოდებელს“ შორის “.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. მოითხოვოს სამუშაოს ხარისხიანი შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
9.1.1. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა.
9.1.2. დაუყოვნებლივ შეატყობინოს “შემსყიდველს“ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ შესრულებას.
9.1.3 მიმწოდებელს შეუძლია გააფორმოს ქვე-კონტრაქტი, მაგრამ არ შეუძლია გადასცეს ხელშეკრულება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე. ქვე-კონტრაქტი არ ცვლის მიმწოდებლის ვალდებულებებს ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

9.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**
9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის

და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ივნისამდე.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

15.2 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე შემდგომი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, შესყიდვის ობიექტის დასრულების დოკუმენტაციის მიღების “პირველადი მიღება-ჩაბარების აქტზე” ხელისმოწერის უფლება მიენიჭოს ინსპექტირების კოორდინატორს.

15.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის (მომსახურების) ხარისხის კონტროლი.

15.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) სამუშაოს შესრულებით.

ბ) მხარეთა შეთანხმებით.

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ფორს-მაჟორი

18.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

18.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

18.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები: შემსყიდველი“	მიმწოდებელი“
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ მის: ქ ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის ქ.№61--- ს/ს საქართველოს ბანკი: ა/ა №GE28BG0000000153454500 ბანკის კოდი: **BAGAGE22** საიდენტიფიცაციო კოდი: № 212682051	შპს „ლა ბ დისტრიბუცია “ მის: თბილისი ზაზიშვილის I შეს#1 ს/კ 200 101 956 ა/ნ **GE04BS00 0000 0022 2369 53** მფო **220101956** ს/ს„ ბაზის ბანკი“
თინათინ ლოსაბერიძე	ჯაბა თვაური

ფასების ცხრილი
ხელშეკრულება #87 11/06/2014

დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ ფასი	სულ თანხა
სერვერი-470065-774/ HP DL320e Gen8 E3-1220v2 B120i 2x1Gb 1x8GB(L) 2x1TB LFF HP DVD-RW 1x350W + 3-3-3 NBD Care Pack/ Windows 2008	ცალი	1	2800.00	2800.00
უწყვეტი დენის წყარო-SUINT1000RTXL2Ua 1000VA, 2U rack/tower mount. SmartOnline TRUE ON-LINE UPS, PURE SINE-WAVE, ZERO TRANSFER TIME. Comm. Port: 1 RS-232. Outlets: 6 (IEC-320-C13). SNMP slot. Use BP24V15RT2U, BP24V28-2U or BP24V70-3U for extended runtime.	მეტრი	1	1200.00	1200.00
ჯამი				4000.00

მხარეთა რეკვიზიტები:
შემსყიდველი“

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი
„იბერია“
მის: ქ ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის ქ.№61---
ს/ს საქართველოს ბანკი:
ა/ა №GE28BG0000000153454500
ბანკის კოდი: **BAGAGE22**
საიდენტიფიცაციო კოდი: № 212682051

თინათინ ლოსაბერიძე

მიმწოდებელი“

შპს „ლაბ დისტრიბუცია “
მის: თბილისი ზაზიშვილის I შეს#1
ს/კ 200 101 956
ა/ნ **GE04BS00 0000 0022 2369 53**
მფო **220101956**
ს/ს„ ბაზის ბანკი“

ჯაბა თვაური